12 იანვარი, 1908 წ.

ფასი უცელგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი



# ეშმაკის მათრახი



№ 15

54745



Библиотека

თავფეხის საკითხი ქართველ სამღვდელოებაში

## თავ-ფეხი.

მოძღვართა კრება ვიხილე,
,,საქვეყნო'' საქმე წყდებოდა:
მღვდელს და დიაკონს რამდენი
თავ-ფეხი უნდა რგებოდა...
,,ავტოკეფალიურ'' მართვის დროს
ადგილი განსასჯელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენს წაიღებს მთავარი,
დიაკონი, თუ მღვდელია;
მაგრამ ამ ჟამად საქმესა
ცუდი მიეცა მსვლელობა:
ვეღარც გაიყვეს საკლავი,
არც ვარგა დაუკვლელობა!
,,ერთობამ'' ესე საკითხი
თავისებურათ განკურნა:
სამ ცხვარის თავში—ორი მღვდელს,
ერთი დიაკონს არგუნა.
სამესამედოთ იყოფა
რასაც მოიგებს ,,კრებული''
სათნოებაში ნაქრახი
სახურჯინეში ქებული.
მაგრამ გაფრინდა იგი დრო,
ოდეს ,,ერთობა'' ხარობდა,
და ჩვენი ქურუმთ ხუცესი
შავ კალთებს ვერა ხმარობდა.
აღდგინდა კვალად საკითხი
ცხოვართ თავ-ფეხებ-ტყავისა
და მეც გაგიხდით მოწამე
უცხო რამ სანახავისა:
,,ყვავ-ყორანთ'' გუნდი ეხვია
მინდვრათ თავ-ფეხის კალოსა,
და მოეწვიათ უფროსი
რომ კარგათ გადათვალოსა.
წამოდგა მთავარ ყორანი
თვალი ჩაავლო თავებსა
და სიხარულის ელფერმა
გადაჰკრა ყორან-ყვავებსა.
ჯერ გადასწერა პირ-ჯვარი
როგორც მოითხოვს წესია,
და გადაიწყო თავისთვის
რაც შეხვდა უკეთესია.
შემდეგ მღვდლებს მისცა სამ-სამი,
დიაკვნებს თითო, ცალათა,
მაგრამ არც ღირდა თავ-ფეხი
ატეხილ ხათაბალათა.
შეიქნა ბურხლი, ყიყინი,
აგვიხმაურდენ ,,სვავები''
და დაუშინეს ცხვირ-პირში
ერთმანეთს ღორის თავები.

**ნემსი.**

# სიტყვა

თქმული სამღვდელოების კრებაზე მღვდლის ჯიჯავაძის მიერ.

ღირსნო მამანო! წყალობითა ღვთისათა ჩვენ უკვე დავასრულეთ განქიქება კითხვათა მრავალ მნიშვნელოვანთა; თავ-ფეხ ტყავისა და სასყიდლის მიცემისა დიაკვანთათვის ესე ყოველივე დავადგინეთ სასარგებლოთ ჩვენდა, მაგრამ, ღირსნო მამანო, ეხლა გვაქვს განსჯად საკითხი უფროჲე რთული, ამისათვის ისმინეთ მამანო. დღეს უნდა განვქიქოთ საკითხი ესე ვითარი „ჯერ არს მოწაფე სემენარიისა იმერელი სტეპენდიისა თუარა?" მე როგორც ყოფილი რედაქტორი გაზეთისა მის ავტოკეფალისტებისა, რომელსა ეწოდებოდა ,,სიტყვაი'' და როგორც ერთი ავტოკეფალისტი მამათაგანი ამის შესახებ ღაღად ვყოფ: როგორცა სჩანს სხვა და სხვა ,,აღმოჩხრეკილებათაგან'' (სპრავკა) ფულები ესე, რომელ გადაიდების ყოველ წლიურად შესანახათ სემენარიისა და სასტიპენდიოთ არის თანხა სრულიად საქართველოს ეკკლესიისა (რომელთაგან ჩვენ ავტოკეფალისტნი ველოდით ულუფას). გარნა ესე არა კმარარს, რამეთუ დრო იგი ეხლა წარსულ არს და დღეს კი საქართველოს ეკკლესიის უფალსა არა ნებავს, რათამცა იმერელნი იღებდენ სტიპენდიასა და მეც ხმითა დიდითა ვაღვიარებ, რომ იმერნი არიან ბიძაშვილები ჩვენი, ხოლო ამერნი კი ღვიძლი ძმებია, მიუხედავათ იმისა ის ბერძენი იქნება, ოსი თუ რუსი. იკმარეთ, მამანო, რაიცა გვატყუილეს ჩვენ იმერლებმა, რომელთა ხრიკიანობას არა აქვს დასასრული. ისინი ყოველსა ჟამსა ახერხებენ წარიტაცონ სტიპენდია არა ჯეროვანითა მოწმობითა, არამედ ყალბითა. ნუ უგულებელს ყოფთ აგრეთვე შემდევსა ჩემსა აღმოჩენასა. სტიპენდია ჩვენი წმინდა ეკკლესიისა მიეცა უწმინდურსა იმერლებსა, რომელთა შემდგომათ სემენარიის დასრულებისა არა წავიდენ ღვთის მსახურებათ, არამედ შეუდგენ საქმესა საეშმაკოსა და იწყეს სოციალ-დემოკრატობა, რომელნი დაუძინებელნი მტერნი არიან ავტოკეფალიისა და ავტონომიისა. ამისათვის მუხლმოდრეკილნი გევედრებით, წმინდანო მამანო, მსახურნო ქრისტესნო, უარ ვყოთ ძმობაი იმერთა და აღუკვეთოთ სტიპენდია იგი... ამინ.

ბლაღოჩინი ღვთისავაროვი, გამრეკელოვი, ბორინოვი, იუნიცკი, კობარი და კობ. გალობენ: კირიელეისონ, კირიელეისონ, კირიელეისონ!!.

მღ. ჯალიაშვილი: რაიცა ისმინა ყურმან ჩემმან მამა ჯიჯავაძის ბაგეთაგან, ყოველივე ჭეშმარიტ არს. ეყოფათ იმერლებს რაიცა ისარგებლეს ჩვენგან სტიპენდიითა და სემინარიის შენობითა (და ჰაერითა თფილისისათა) ყოველივე ესე წყალობა ღვთისა ჩვენი არს და რისთვის უნდა უწილადოთ სხვებსა ყოველივე საქმეა ანგარიშისა და ყოველივე ფულითა, ჯიბითა და ქანქარითა განიზომების, რომელი მოგვცეს ჩვენ ღმერთმა აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

**მათე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ,,შურდულის‘‘ წერილი.

—

**საყვარელო ძმაო „ეშმაკის მათრახო“!**

პირველად ყოვლის შემძლებელ ღმერთსა ვსთხოვ შენს ბედნიერებას და კარგათ ყოფნას. მაგრამ რის ღმერთი, რომელ ღმერთს ვსთხოვ აღარც კი ვიცი. განა ღმერთი რომ სადმე ყოფილიყო ასე განუკითხავათ დასტოვებდა ქუთათური „ფედერაციის“ ბურჯ სილოვანს? წარმოიდგინე კაცო, მას შემდეგ რაც უმსგავსო ხელებმა ი. ჭავჭავაძე მოკლეს, დასაბამათ გადაქცეულა, ილიას მოგონებისათანავე გონება ეკარგება „სოვსემათ‘. ვიცი გაგეცინება და იტყვი: დიდი დოვლათი არასოდეს არ ყოფილაო, მაგრამ ეს არ არის მართალი. დოვლათი მართალია არ ყოფილა, მაგრამ არც ასე საქვეყნოთ მოუჯაყავს თავი, როგორც უკანასკნელი „ტომით‘. ის თითქმის იგივე ვალერიან გუნიაა, თუმცა უფრო სერიოზულ-დონკიხოტური. გუნიას კიდეც უხდება, როცა უძლურების სიმყრალე და სიბოროტე გადმოსდის ბაგეთაგან, ვინაიდან ეს მისი ბუნებრივი მოქმედებაა, გულის სიღრმიდან ამონახეთქი. ხომ გაგიგონიათ: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“ და დარწმუნებული ვარ ყველამ კარგათ იცის რა სიბინძურე‘ცა სდგას აღნიშნულ ჭურჭელში, მაგრამ ქუთაისის „ფედერაციის“ მამათმთავარში სულ სხვა განძი იდგა მეგონა. 1905 წ. თერთმეტ აპრილს, „ბურჯი“ ქუთაისისა სხვაფერ სჯიდა. მაშინ ამბობდა:

„რამდენათაც ჩვენში მოქმედი წრეების პროგრამა წამიკითხავს და ვამიგია, არც-ერთს მიზნათ არ დაუსახავს დაწვა, მოკვლა და საკუთრების წართმევა. ისინი ამის წინააღმდეგნიც არიან. ჩვენ იმ პირებს, რომლებმაც საქმე აქამდე მოიყვანეს კი არ უნდა ვესაყვედუროთ, მადლიერნიც უნდა ვიყვეთ“. „მათი მხრით ეს თავგანწირვაა“. სიმშილი, წყურვილი, მუდამ მოუსვენარი ცხოვრება, ციხე, ციმბირი, დევნა-წვალება. აი იმათი ჯილდო. ისინი უდგანან დღეს ხალხის მ ო ძ რ ა ო ბ ა ს სათავეში, ისინი ხელ მძღვანელობენ მათ მოქმედებას. ეს პირები ვაშასა და პატივისცემის ღირსნი არიან და სხ.“.

შენ იქნება არ დაიჯერო ძმაო, მაგრამ ეს მართალია. ასე ამბობდა დღეს დასაბამათ გადაქცეული „ბურჯი“ საქართველოსი სილოვან ხუნდაძე აზნაურების კრებაზე 11 აპრილს 1905 წ. დღეს-კი, როდესაც სახალხო მოძრაობას რეაქცია დააწვა და ნიავმა ქროლა სხვა მხრიდან დაიწყო, საქართველოს ბურჯმაც რასაკვირველია იცვალა კილო და ვალერიან გუნიასებური უსირცხვილობით ეკითხება ნ. ჟ—ს თავის უკანასკნელ „ტომში“. რომელ „მოძრაობაზე ბრძანებთ თქვენო“, და წარმოიდგინე მისი ურცხვობა, სიტყვა მოძრაობასაც ფრჩხილებში სვამს. ასე იცის თურმე რეაქციამ ძმაო, თორემ ქუთაისის ფედერაციის მამასახლისი ოქტომბრის დღეებში ვერ გაბედავდა დამარცხებული მებრძოლებისათვის „ქუჩის არმია“ ესროლა პირში.

ეს ხომ ეგრეა ძმაო, მაგრამ მე სულ სხვაზე მინდოდა შენთან ლაპარაკი.

თავის უკანასკნელ „ტომში“ (,,მკვლელები და მცველები‘‘) ქუთათურ დონკიხოტს ფედერალური პარტიისას, ჩემთვისაც უსვრია ერთი გუნდა ცილისწამებისა და არც-კი რცხვენია, რომ ბრალდებას ვერ ამტკიცებს და გვერდს უვლის: თითქო აქ არაფერიაო. ნამდვილი დრამების მცოხნელი ვალერიან გუნია მაგონდება ძმობას გეფიცები.

კაცო, მე დავესწარი ილიას დაკრძალვას და ჩემდა საუბედუროთ თვალი მოვკარი პროცესიაში ჩაჩხირულ 40 საგურამოელ გლეხს. ისინი ამქრების დროშებს მისდევდენ უკან. გული მომიწამლა ჯერ იმათმა დანახვამ და ახლა ცალკე ქუთათური დონკიხოტის ახირებამ: ,,შურდული უსინდისო შხამიან, გესლიან დაცინვას იწყებსო‘‘. მოდი და ნუ შეგებრალება ასეთი უბადრუკი და ისიც ,,ბურჯი‘‘!! მე მართალია მეუცხოვა ეს სანახაობა და დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად ბევრ ,,ფედერალურ‘‘ თვალსაც ჩხირივით მოხვდებოდა მაგრამ ისინი აბა როგორ გაამხელდენ ასეთ საშინელებას.

ახლა შენ გეხვეწები, ძმაო, ნუ დაიშურებ ორიოდ სიტყვას და შეატყობინე იმ ხაცოდავს, რომ გურამიანთ-კარში დღესაც არ არის სკოლა და სამკითხველო და მაშინ საიდან იქნებოდა-თქვა. ეს გომარეთი ხომ არ არის, წერა-კითხვის საზოგადოებას რომ გაეხსნა და დაეხურა სკოლათქვა. მე რასაკვირველია არ დამიჯერებს ქუთაისის ,,პესტალოცი‘‘ და შეატყობინე, რომ იმათ ,,პატიოსან‘‘ გაზეთებშიაც ეწერა ჩემ-გვარი ამბები საგურამოელ გლეხების შესახებ, რომ ისინი იცნობდენ ილიას როგორც მათ ბატონს, მემამულეს და არა როგორც მგოსანს. რას ვფიქრობდი მე როცა იმ წერილსა ვწერდი ეს ჩემი საქმეა ბ სათავად-აზნაურო მარჩიელი არ მჭირიათქვა.

შენი ძმა ,,**შურდული**‘‘.

რედაქციისაგან: „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია სიამოვნებით უთმობს ადგილს უფროსი ძმის წერილს და თავის მხრივ ქუთათურ დონ-კიხოტ პედაგოგს რასაკვირველია გუნიახებური კილოსა და ცილიხ წამებისათვის მიუძღვნის სამიოდ კუდს მათრახისას და 27 წვეთ ,;სპერმაკუდინს‘‘.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაგვიანებული მოლოცვა.

დაგვიანდა ეს მილოცვა,
დაგვიანდა ეს ბარათი,
მარა ვიცი ჩემთა გმირთა,
უტკბილესი ხასიათი,
რომ იგინი არ მიწყენენ,
არ დამგმობენ ამისთვისა,
მაგიერათ მეც შევამკობ
მათ, ღირსეულ საქმისთვისა.

### ბათუმისა წილ.

ჯერ ბათომელთ მიულოცავ,
იქ პირველი ხალხი არი,
დიდი აზრით, დიდი ჭკუით
გატენილი, საქებარი.
ამბობენ, რომ იქ „კრედიტკის“
საქმე მიდის ჭანდრაკულათ,
უქანქაროთ, თავგებისა
გადიქცათ სახრაგუნათ.
რადაც დიდის მოსაზრებით
აქაურელთ გმირთა-გმირმა,
დიდმა ვოლსკიმ, საქართველოს
უჭეშმარიტესმა შვილმა,
იქ სამუდმო დირექტორათ
ერთი ვირთხა აკურთხაო
და ამ ვირთხამ იქ ქანქარებს
ექსორია რამ უქნაო.

—

ისიც მითხრეს: ბათომლებმა
მოწყალების თვალითაო
გადახედეს „დაბალ ხალხსა“
და დიდი რამ ამბითაო
სახალხო უნივერსტეტი
დაპირდენო „უმცროს ძმებსა“,
მარა ჯერე ვერ ვედ რსეთ
ჩვენ იმათ დანაპირებსა.
მართალია ჯერ-ჯერობით
დიდი საქმე გააჯერეს:
გამგეობა აირჩიეს,
წესდებაც კი გადაწერეს,
„ბარიშნებიც“ მოიწვიეს,
გამოაწყვეს სექციები,
უმთავრესი კი არა ჩანს:
ადარ არის ლექციები,
ადარც საკვირაო სკოლა,
და ადარცა სამკითხველო...
ამ ვაჟბატონთ მოუხდებათ
ერთი ზურგის ასამწველო...

—

ისიც თქვეს, რომ ბათომშიო
ერთი „სამკურნალო“ არი,
სამკვდრეთადა წოდებული,
მოარშიყეთ საბუდარი,
ერთს ავათმყოფს ცხვირში ჩაფით
ხლოროფორმი ჩაასხესო
და წუთისა სოფელს იმით
იგი გამოასალმესო...
და აგი თუ მართალია,
ესკულაპებს იქაურსა
კუდი ერთი მათრახისა
უნდა ვუთავაზოთ ზურგსა.

—

ბათუმშივე არის თურმე
ერთი ვიღაც მატრაკვეცი,
ტრაბახობით გატენილი,
ჭკუით ჩლუნგი, აზრით ბეცი.
თუ რამე თქვა ერთი-ორი,
ისიც სხვისი, ნაქურდალი,
ასე ფიქრობს ბრძენი ვარო,
ღვარძლიანი, სულით მხდალი...
თუ სიმართლე პირში უთხარ,
აუწყრე მისი თავი,
თუ უთხარ, რომ კაცუნაა,
სულ უბრალო მომაკვდავი,
კვინტებს შეურის ცხოველივით
ის საწყალი, საბრალისი,
და სიმყრალეს მოფენს ირგვლივ
ხრინწიანი ხმაი მისი.
ახლაც ვიცი — შეუხტება,
არ დამრჩება მადლიერი,
მარა თუნდა ქვას ახალოს
თავი მისი ცალიერი.
მაგისთანებს არც შევფერისთ,
რომ დავღალოთ კალმის წვერი,
მარა რას იქმთ, თუ ბევრია
მაგის მსგავსი ტუტუც-მტერი...

### ოზურგეთისა წილ.

ახლა მინდა დიდინითა,
რომ ვეწვიო ოზურგეთსა,
იქა ვნახავ ნიკოკიას,
-კოწიას და დემეტრესა,
გურულთა ამ კეთილ კაცებს,
ჯაშუშების მდევნელ-მტრებსა,
თავისუფლებისთვის მებრძოლთ,
საიმედოს, საყვარლებსა;
იმდენეთად საიმედოს,
რომ იგინი თვის კარებსა
ველარ ცილდებიან ისე
თვარ მიუნდვენ სტრაჟნიკებსა.
და ჭკოი საკვირველებავ,
დეკემბრისა ერთსა დღესა,
როს სტრაჟნიკნი გარს ეხვიენ
ამ დელიყანდ ჩვენ გმირებსა,
გუბერნატორი კითხულობს:
ჩემო ძმაო ნიკოკიო,
სტრაჟნიკები რომ გარტყია,
ეტო ბრატ ჩტო ტაკოიო!
— „კრამოლნიკამ პრესლედუიტ“ —
უპასუხებს ნიკოკია,
და მოესმის იმის ყურებს:
— ეს თქვენი საქმე როდია.
თქვენ, „მირონ პოსრედნიკი“
რათ წუხდებით მაგისთვისო,
ჩვენცა ვგმარვართ, ნიკოკიჯან,
მაგნაირი საქმისთვისო.
და სტრაჟნიკებს ვერ გაახლებთ
ვერცა შენ და ვერცა სხვასო,
იმედია არ მოიწყენთ
და არ გვეტყვი სამდურავსო... —
ეს საჯაყო საქმე შეხვდათ
დეკემბრისა ერთსა დღესა
გურულების კეთილ კაცებს —
ნიკო-კოწი-დემეტრესა.

### თფილისისა წილ.

ახლა მინდა თფილისს გავჩნდე,
ლიხის მთაი გადავლახო,
სხვებს ჯერ დავტევ, არ მცალია...
იქ ბევრი მყავს სამათრახო.
„ნიშადურს“ მსურს მივულოცო,
მას ბევრი ყავს საცინელი —
მხატვარი თუ თანამგრძნობი,
მეპროზე თუ ლექსის მთქმელი.
აჰა, ლექსი „ნიშადურში“,
ევდოშვილზე დაწერილი,
იროდ თურმე ხალხსა გულში
იმედათ აქვს ჩანერგილი.
და შუბლი კი ამ გმირისა,
შუბლი ფართო, დიდებული
ეკლის... დიახ, სწორედ ეკლის
გვირგვინით არს შემკობილი.
მარა თურმე ამ დიდებულს,
ბაყბაყ დევსა ჩვენი ქვეყნის
ზოგიერთი თაყვანს არ ცემს,
ზოგიერთი თურმე დევნის...
დიახ, დევნის... მარა როგორ!..
წამებისა ჯვარზე აკრავს
და იროდიც მოწამებრივ
იტანს თურმე ამდენ ტანჯვას.
ალბათ ხალხის გულისათვის.
ასე აქებს „ნიშადური“
და იროდიც ამისათვის
არ რჩება მას უმადური.
„ნიშადური“ იროდს აქებს,
იროდ „ნიშადურსა“ აქებს,
და ჩვენ კი ამ თავის მქებელთ,
ამ უსუსურთ, აზრით ბალღებს
ნუ შევარჩენთ ამ სიგლახეს,
საქმე უქნათ საკადრისი
და ღონივრათ მოვსცხოთ ზურგზე
ერთი კუდი მათრახისა.

—

აჰა კიდევ „ნიშადურში“
ერთი ქება, კიდევ ქება...
„ნიშადურის“ ნაქებარი
ყველამ ვიცით ვინ იქნება.
ვინ და ურმაი დიდი ვინმე
„ვინც მერცხალს გავს ჭიკჭიკითა“
იმას თურმე გაზაფხული
მოყავს. (ბავშკურ ტიკტიკითა?)
ეს არს „ისრის“ პუბლიცისტი,
არ. ჯა. — შვილათ წოდებული,
„ნიშადურისაგან“ მებრძოლათ
გმირთა-გმირათ შერიცხული!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ქება... კიდევ ქება...
აბა მითხართ, ვინ იქნება?
„ისარია‘‘, ის ,,ისარი“
მისთანა რო სხვა არ არი!..

—

შემდეგ დანძღვა და გინება
დამცირება, აბა ვისი?
ყველა მათი ,,ნიშადურელთ‘‘
ვინც გადაჰკრა საკადრისი
,,ცისარტყელას‘‘, აზიანის,
,,ეშმაკისა‘‘, ესდეკების,
ვისგანც ,,ხიშადურს‘‘ და მის ძმებს
ხშირ-ხშირად ზურგზე ხვდების...

—

აქეთ, ბავშნო, თავის თავი,
მით გაართეთ წამკითხველი,
შარა გზაზე გამოფინეთ
ჭკუა თქვენი, საცინელი...
რათ არ იცი იროდისა
და რიშბაბას ლაყე თავო:
**,,თავის ქება კიტრათა ღირს,**
**კიტრი—კაპეიკათაო‘‘?**
მ საბრალო კაცუნებმა
ათუ ეს მართლა არ იციან,
თუ იციან, შეგნებულათ
მაინც ჩმახვენ და სტყუიან,
ნუ შევარჩენთ ამ სიგლახეს
საქმე უქნათ საკადრისი:
კიდევ მოვცხოთ ზურგზე მაგრათ
მწვავე გუდი მათრახისი...

**კენტი.**

---

# გურული სცენა.

**ტოლუმბაშის ,,რეჩი‘‘.**

ბატონებო და ქალბატონებო და ყველა საყვარელო აფხანიკებო!

მე რავაც თქვენ ყველას მოგეხსენება გახლავარ ერთი უსტავლელი კაცი, მარა უნდა გითხრათ მართალი ენა გარეცხილი და ენა მეტყველი კაცი ძალიანი მძულს, ენა ძროხისაა კაი, შემწვარი და ბროწოულ გადარებული კაცი ნამუსიანი უნდა. მართალია თავის ქება აიბია, მარა რადგან თქვენ აქანაი ყველაი შინაური ბრძანდებით და სიტყვამაც ისთე მეიტანა ვიტყვი თუ გინდა ბევრს კიდეც ეწყინოს და ბევრმა იქნება ხულიგანიც კი დამიძახოს, მარა მე მაინც ვიტყვი რომ ერთი უპარტიო კაცი ვარ. ყველაი პარტია ქე მომწონს, მაგრამ მე ჯერ ისთე იმ თათარსავით ვარ გადაკაპიწებული ორი რომ ჰქონდა და მესამე იკაპიწებდა, ერთი და ერთი კი წეიქცევა, მეც იმისკენ დევიძახებ ლელოს, რომელცხაი მიერევა და ისთე ახლა აქედგან რა ვიცი, მარჩიელი ხომ არ ვარ მაჯაზე შივატყო, რომელი დასძლევს. რა ვქნა, თქვენგან დაძრახვას არ მიველი და ქვეყანა გამოსარჩენიზა ცხოვრობს... ტაც შაუურიო იძახის, მე კი რა ვქნა, იმდენი ზლიპარტლები მყავს დასეული რომ დამთქნარებას ვერ ვახერხებ, ბალნები რომ პირ აფჩენილს დამინახავს მომცივიან, ბაბა კი ჭამ რაცხას შენ და ჩვენც გვაჭამეო, ასთეა ბატონებო თვარა ნამუსი ერთ კაცს თუ კი აქ მეც კი მაქვს და აგერ ამ ხნის კაცი შევიქენი და ჩემდა იგი ჯერ არე კაცს არ უთქვამს და იგი დოეი ნურც მომასწროს ღმერთმა რომ აწი ეთქვან ღმერთმა შეგარცხვინა კოწიაო. და რადგან ბატონებო თქვენთან და არც მასინძელთან არაფერი ვარი არ გამივიდა და მეცით პატივი და ტოლუმბაშათ დამაყენეთ, იმედია არც თქვენ გალახავთ თქვენ ამორჩეულს... სმაის დაძალება, აქედგან გიჩივი ყველას, რომ არ იქნება და წყურვილით თავი არეკაცმა მეიკლა. ახლა ამ ერთი რქაით (შეხედეთ ასთე საფსეა!) ადღეგრძელოს ბუნებამ, რომელმაც გააჩინა ზღვაში თევზი, ჰაერში ფრინველი, ცაზე ვარსკვლავი, ხეს ფურცელი გამუასხა, ძროხას ბღავილი ასტავლა, კაცს ენა მისცა სალაპარიკოთ, ხელზე რომ სხვადასხვანაირი ხუთი თითი მოგვცა ზოი გძელი ზოი მოკლე, ე ე იმ კაცებს გუუმარჯოს, რომელიც რომ სულით და გულით, მარტუვა ენის გატატაშებით კი არა, სულით და გულით რომ ცდილობს ამ თითების გასტორებას და რომლებიც დღეს ჩვენი გულიზა ოთხ კედელში არიან გამომწყვდეული, ღმერთმა გუუმარჯოს გუნებას და იგინს იი კედელი დაარღოვიოს და იქინეი მათი დამჭირავი დიეჭირონ, ღვთის და გუნების ძალამ გვიჩვენოს იგინი ისთე გამარჯვებული რომ ე ჩვენ რომ გვიხაროდეს და მტერი ტიროდეს. იგინი ჩვენთან მრავალჟამიერს იძახოდენ... მე გავათავე, მართალია რეჩი ვერ ვთქვი, მარა უსტავლელ კაცს მეტი არ მომეთხოვება, მე ასთე საფსეს ვსვამ და ალავერდი შენთან ვარ ბესარიონ!—იმედია აგი ისთე საპატიო სადღეგრძელოა რომ მანდილოსნებიანებ ყველაი საფსეს მიირთმევ... (პრავა, პრავა, პრავა! მრავალჟამიერუმ!!!)

**პიტნა.**

---

## საახალწლო საჩუქრები გურიაში

პირველ ამ თვეს სტუმრათ გვყავდა
წმინდა ვასილ, გრძელ-თეთრ წვერა,
საახალწლო საჩუქრებით
გული მრავალს გაუჯერა.
ერმოლოვის ლენერლობა
უბის წიგნში ჩაიწერა,
დავითისთვის კამილავკა
ეფისკოპოზს მიუწერა.
დიმიტრასა და კოწიას

გაუსინჯა ნატყვიარი,
მოუწონა ვაჟკაცობა
და აღუთქვა გულზე ჯვარი.
სახელისა მოზიარეს
აქ ასტავკა აუხირდა
და იმ სოფლით მოურავის
არდგილიც კი შემოპირდა.
ნიკოკიას მოახსენა
რომ ღვაწლი აქვს მეტის მეტი
და ეშმაკთან გარდიტანოს
დღიდან მისი კაბინეტი.
მიქიევი დაელრიჯა:
,,დავიღალე გამიშვიო
ჩაიბარეთ საყვარლების
და სხვათა ანგარიშიო'',
ნახა წმინდათ ანგარიში,
ნაღვლიანათ ჩაეცინა;
წადი, მარა ამ ქვეყანას
მე არ ვიცი შენთვის ბინა.
ჰყონიებსაც მოახსენა
თქვენი ღვაწლიც გავიგეთო
და ოცდა-ცხრა ათას მანეთს
საიქიოს მიიღებთო.
ივანეს და მიხელს უთხრა
გული ნუ გაგიტყდებათო
თქვენც და თავად ტელემაკსაც
ჯაჭვი ადრე გებმებათო.
ზოგ ხუცებსაც ასე უთხრა:
ნუ გაიტეხთ ნურც თქვენ გულსო
აქ თუ არა, ჯოჯოხეთში
რეჯებ მოგცემსთ დრამა ფულსო.
- მუშა გლეხებს დაუმოწმა
თქვენ არა-რა გეწყობაო.
თქვენ საჩუქარს მოგცემსთ მხოლოთ
შეგნება და ერთობაო.
ესა სთქვა და ფრთა შეისხა
გაქრა ვითა მოჩვენება
ხელში დაგვრჩა ისევ ძველი
ადათი და ჩვეულება.

**ხიც-ხიც**



## წერილი ისტორიკოსისადმი.

ძმაო (თუ გინდა ამხანაგო) ისტორიკოსო! ყველა ეშმაკს სწერს წერილს და შენ კი არავინ. სხვების არ ვიცი და მე კი დიდ უსამართლობათ მიმაჩნია ეს ვინაიდან შენი ისტორიის ფურცლები მე სწორეთ რომ საინტერესოთ და დროის შესაფერათ მიმაჩნია. მარა მიუკიბ-მოუკიბავათ გეტყვი, რომ გემდური: რაა შე კაი კაცო და მე უკეთესო რო აგრე იგვიანებ და „რედკათ“ გვევლინები ხოლმე შენი შხამიანი კალმით? მართალია ეშმაკი ბევრ ღირსეულს ამათრახებს, მარა შენ რო უფრო „ღირსეულები“ გყავს გასაპანჩურებელი ამაში ეჭვი არაა. თუ შეიძლება აგრე ითქვას,—ეშმაკი უმეტესად ჩვენი საზოგადოების „ნიზებს“ ანუ ნაძირალებს ამათრახებს, შენ კი ამავე საზოგადოების „ვერხებში“ გაქ საქმე, ანუ როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ „სამშობლოს ბურჯებში“, ანუ „საქართველოს მხსნელებში“. მე იმას არ ვაფასებ თუ ვისი როლია უფრო მნიშვნელოვანი; შენი თუ ეშმაკის, მარა ეს კი ცხადია ჩემო ძმაო (მართალი ნუ გეწყინება) რომ შენი თანამოკალმე უფრო გულ მოდგინეთ ასრულებს თავისს საქმეს. კაცო, ხო ხედავ რა „სკუკაში“ აგდებს ეს რეაქცია ,,საქართველოს ბურჯებს''? წაიკითხე ძიავ ,,ისარ-ნიშადურში'' რას ბოდავენ, რას როტავენ! ყოველ დღე საქართველოს თავს დასტირიან, არ იციან რით მოაბრუნონ, ათასნაირ რეცეპტებს უწერენ! ხო ხედავ ლამის არის შეაფურთხონ ,,ერთობას''. ჰო და თუ ხედავ ძმაო, შენ იცი და შენმა ბიჭობამ! გაცხე, არ დაინდო ეს ყვავ-ყორნები, გადაშალე მათი სულის კვეთება საზოგადოებას, დაანახე ყველას მათი წარსული, აწმყო და მომავალი!.. ნესტარი, ამ დროს უნდა კაცს!.

შენი **ვ. მალაქიაშვილი.**

# ნიკობურგი.

(ძველათ ფოთი)

ასრულდა ჩემი წინასწარმეტყველება, არ გასულა არც ორი დღე პირველი წერილის შემდეგ, რომ მიკრეს თავი იმ ჩემ საფრთხობელა ფოთის ციხეში. სულო ცოდვილო გალახვით-კი „უჩასტკაში“ არავის არ გაულახავარ, რადგან კუხალეიშვილს ეძინა და კუჭუხიძე რაღაც ბედათ არ შემხვდა. მაგრამ რა არის გალახვა იმ გაჭირვებასთან, რაც მე ფოთის ციხეში სულ შვიდი დღის განმავლობაში გადამხდა! ერთჯერ არ გავმძღარვარ, ერთჯერ არ გავმთბარვარ, ერთჯერ სუფთა ჰაერი არ მღირსებია, ხუთჯერ გამაცივა და ერთი პარაშოკი ხინაც არ მაღირსეს. თურმე თანახმათ გენძეხაძის ცირკულიარისა, არც ერთი ეს საჭირო არ ყოფილა ამ და-

ლოცვილ. ციხეში. გამოვიწერე შაქარი და პური, ნახევარი ქე „შეიმასქნა“ უფროსმა ნადზირატელმა ივანე ჭეიშვილმა გზაზე. შემა ვთხოვეთ ციხის უფროსს, ვარი გვითხრა, „რა დროს ზამთარში ფეჩის გახურებაა, მაინც თბილათ ხართ, განა ტყულათ გვყავხართ მოთავსებული 25 კაცის ალაგას 90 კაცი“-ო? ავათმყოფს ზოგჯერ შეცდება და წამალს მოითხოვს, ასე გონია აქაც სხვა ციხესავით უნდა იყოსო, აქ კი ნაბრძანებია, ტუსაღები ავათ არ გახდეს და თუ მაინცა და იაინც გაჯიუტდებიან უწამლოთ უნდა მორჩენ. როგორც ზევით ვთქვი შენი ფულიც, რომ გქონდეს, ნახევარზე მეტი ჭეიშვილის ჯიბეში ამოჰყოფს თავს. ამბობენ ეს ჭეიშვილი შარშან-წინ ქუთაისში „სოც.-დემოკრატობასაც“ კი განიცდიდა, მაგრამ დღეს კუდ წაჭედილი ხმალი უმშვენებს გვერდებს.

მაგრამ დავეთხოვოთ აწი ფოთის ციხესაც... მიპრიანა ღმერთმა და გამაგზავნეს მეშვიდე დღეს დატუსაღებიდან ყოფილ საგუბერნიო ქალაქ ოზურგეთში, იქონიეთ მხედველობაში, რომ მაშინ ტალმაჩოვი იქ იყო და სამშობლო ქვეყანას წინა წერილში მოხსენებული „დეცენტრალიზაციით“ სარგებლობდა. მიმიყვანეს ოზურგეთის ციხეში. მისვლისათანავე ტუსაღებმა გამომკითხეს თუ არა ამბავი ე. ი. გაიგეს თუ არა, რომ უდანაშაულობისთვინ ვიყავი დაჭერილი მითხრეს: „შენ უსათუოდ „ვალს“ გადაგახთიებენ 15 თუმანს და გაგიშვებენო“. მეორე დღეს მოვიდა ციხეში მაღალი კაცი, ერთი ამათვალიერ ჩამათვალიერა, სიბრალული-მწუხარებით დააკვირდა ჩემს ჩამოგლეჯილ ტანსაცმელს, გამხდარ პირისახეს, გადაიქნია თავი, „ჰაი, ჰაი“ ჩაიალაპარაკა და ბრძანა წყრომით „გადააგდეთ მაგი საძაგელი ამ წუთში ციხის კარებზე ამ სიცივეში“-ო და მეც გადმომაგდეს სწორეთ ისე, როგორც ერთ დროში ორაგული გადაისროლეს ზღვაში ქკუიანმა მოსამართლეებმა. მეც ეს მინდოდა და გამოვქანდი ისევ ფოთისაკენ. დღეს მე ისევ აქა ვარ, გადავრჩი განსაცდელს. თუმცალა ბევრი ახალი ამბები მომხდარა აქ ჩემი დატუსაღების დღიდან, მაგრამ იმედი მაქვს ცხოვრებას მაინც არ ჩამოვრჩენილვარ. ტყუილია ის ხმები რომლებიც ჩემი აქ არ ყოფნის დროს გაუვრცელებიათ ზოგიერთ მოქალაქეების შესახებ. აი მაგალითად: ვითომც ისიდორე უჩამეიშვილს ენატანიობა ჩაედინოს და სამსონა მანწკავა და იოსება გოგოძე „იმასექნას“. მე ვიცნობ ისიდორე უჩამეიშვილს, ის მართალია „ჩაჩუტი“ კი არის გურულათ, რომ ვსთქვათ, მარა ჯაშუშობას არ იკადრებს. აგრეთვე მგონია არც იოსება ჭანტურია დააჭირვინებდა მიხაილ კვერნაძეს.

ტყუილი მგონია ისიც, რომ ვითომც მღვდ. ვარლამ მახარაძე და მასწავლებელი ნიკოლოზ ჩხენკელი „გაიმასქნილებულიყვენ“. მართალია იმათ კვერი დაუკრეს ჟანდარმის პოლკოვნიკს და დაუმოწმეს კი გავს იონა კიზირიას „პოჩერკს“ რაღაც საიდუმლო მიწერ-მოწერა, რომელიც საიდანღაც პოლიციას უპოვნია და თავზე ახვევენ უდანაშაულო კიზირიას, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ სთქვეს აღნიშნულმა პირებმა, რომ უდასტუროთ შეიძლება სამსახურზე ხელი შეშლოდათ. ამიტომ მგონია მათ ორივეს ეყოფა 70 წვეთი „სპერმაკუდინი“, რასაც ვთხოვ ჩვენს ეშმაკს გამოგვიგზავნოს ფასდადებით ანდრია ჟვანიას სახელზე (რადგან ამასაც მინდა ერთი რამდენიმე წვეთი მოურჩინო როგორმე პრიკაშჩიკების წინააღმდეგ ჩინებული ბრძოლისთვინ და სულ ერთია გამოსაგზავნ ხარჯებს ჩემს შრომის ფასში გამოქვითავ შემდეგ) და ოპერაციის შედეგს ყველას გავაგებინებ-კი.

**მაღონნა.**

---

## გამოცანები.

1

(ფოთელებისათვის)

ჩარჩი ექსპლუატატორი
არ ინახვის მისი სწორი,
ენით ტკბილი და საქმით კი
პატიოსნებასთან შორი.
დღეს ხელობათ აუღია
ყალბ ასიანს ასაღებსო,
და თუ ვინმემ მოაკითხა
პოლიციას გარდასცემსო
გაბრიელა მუშა ტირის
ვაი ჩემს დღეს ჩემს წერასო
ძმებო, თქვენ მაინც უფრთხილდით
მატყუარა თეთრ წვერასო

**ხიც-ხიც**

2

(მოხევეებისთვის)

ერთი ვინმე, სულიერი
სტეფან წმინდას მჯდომელია,
მოდგმით ადამიანთ ჯიში
და არა სხვა ცხოველია.
სადაც შესდგა ფეხი თვისი
სულ წაბილწა ყოველია,
ორპირობით ვერვინა სჯობს
ქრთამით გაუძღომელია.
მისი დანოსების რიცხვი
თითქმის განუზომელია,
სინდისი და ამგვარები
ერთობ მოუწდომელია,
ყველაფერი მოგახსენეთ
და იცანით რომელია?

**მთიელი.**



სიზმარი გურული თავადისა.

## სიზმარი ტელემაკისა.

საახალწლოთ გურიის მთავრის შვილმა, ძმამ მგოსანი მამია გურიელისა და უუუმაღლესად განსწავლულმა თავადმა ტელემაკმა ნახა სიზმარი მამასახლისად გახდომისა და უუუუღრმესად აღფრთოვანებულმა შემოსძახა ძმის ალლავერდი.

მეგობრებო ჯერ ვისურვოთ
ჩვენ წოდების დღეგრძელობა
და გლეხები დავიმონოთ,
აღვადგინოთ ბატონ-ყმობა.
ასე ვუთხრათ კნიაზებსა
ალსდეგ გახდით კვლავ თავხედი
არა რა არს უსაშველო
კნიაზებო ალავერდი.
მოვგროვდეთ და გლეხს ვეძგეროთ
დეე იყოს რაოდენი
გვაბრძოლე ნუ დაგვაგლახე
შეიწირე ჩვენი დღენი.
ნურას კრთებით ჩვენ ჟირგუნოთ
რაც რომ იყოს გასაბედი
დრო წარსული მოვიბრუნოთ
შემოვძახოთ ალავერდი.
ფიცსა გაძლევთ არ გიმტყუვნოთ
კნიაზთაგან არცა ერთმა
რაც გვიბრძანო ალგისრულოთ
თუ მოგვასწრო ის დრო ღმერთმა.

შევეტაკნეთ კნიაზებო
მიუშვიროთ გლეხებს მკერდი
ლადიკო და სილოვანა,
უმაღლესად ალავერდი!!
კმარა რაც რომ გვითმენია
აწ კი ნუღარ დავბრკოლდებით
თათრებთან თუ გვიბრძოლია
გლეხებს ველარ ვეომებით?
წამოდექით მოემზადეთ
გამოვცადოთ ერთხელ ბედი,
მამასახლისებათ დავდგეთ
და დავსჭყივლოთ ალავერდი.
ვაჩვენოთ რომ კნიაზობა
ჯერ სულ მთლად არ გათელილა
არ გვწამს მათი ჩვენ ,,ერთობა''
მათი ფესვიც გაწყვეტილა.
დავერივნეთ გლეხ-კაცობას
ზოგს მხარი ვკრათ ზოგს მოგვერდი,
ენა ბასრი ვამოქმედოთ
ვისიც მძლეთ სჭრის ალავერდი.
მენდეთ ძმებო სჯობს არ დავთმოთ
და შევმუსროთ ჩვენ ერთობა
მამა-პაპათ თუ არ სწყენდა
არც ჩვენ გვაწყენს ბატონ-ყმობა.
როს გვეღირსოს გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაჭვი, ყელზე და ბეჭედი
მაშინ გვმართებს გახარება
სმა-შექცევა, ალავერდი.
ზოგს მოგვცემენ „სტრაჟნიკობას“,
ზოგს შეგვხვდება „სტარშინობა“
შერცხვეს ვინც აქ გვიღალატოს
არ ისურვოს ეს წყალობა.
მაშ რას უცდით თქვე ლაჩრებო
მოგიხრიათ ყმისთვის ქედი,
ალიჭურვეთ იარაღით
გამოვცადოთ ერთხელ ბედი.
ვინც არ მოკვდეს ბრძოლის ველზე
გლეხ კაცს მოუხაროს ქედი,
მას შეერთოს დედა ცოლათ
ჩვენ კი შევსვათ ალავერდი.
გვედრებ ვისაც გებრალები,
მოვკვდე ხელი არ ამაღო
და ეს ჩემი ძველი ძვლები
კნიაზურა გამისაღო.

**გაამოს!!**

# გუნია და „ნიშადური.“

აზრით მახინჯი,
გრძნობით ბინძური,
სამარის პირას სდგას „ნიშადური“.
დაჰკარგა სმენა,
არ უჭრის თვალი,
დადის მარტოკა ტყავი და ძვალი.
აი რას ნიშნავს
ენა—მრუშობა
რწმენის გაყიდვა, უნამუსობა?!
სიჰაბუკისა
უწია სენმა
და დღეს გაიგო ვალიკო ბრძენმა,
რომ სიკვდილისა
დაჰკრა საათმა,
დაალალატა დრომ მუხანათმა.
მაგრამ, უეცრად
განივლო გულში:
(ალბათ არ იყო დღეს გადაკრულში!)
ფეხ-ქვეშ შეუძვრეს
ზუბალაშვილებს,
ქველ-მოქმედია, არ გააწბილებს
და მოიპოვოს
მუნით ქარქარი
რომ არ გაექცეს ის **სახედარი**
რომელსაც ეგრე
ხშირათ აყვირებს,
რომლის „ჰანგებით“ მკითხველს აკვირებს,
რომელიც ხშირათ .
აჭყავს ღრუბელში,
(სამასხროთ, ქნარსაც კი აძლევს ხელში!..)
მოგეხსენებათ
ვალიკოს ხრიკი,
იცის სად ბუდობს ზლვა ქანქარიკი!
ჯერ **სურათები**
**შემოაპარა**
მაგრამ საქმისთვის ეს ხო არ კმარა??
შემდეგ მოსდგება
მელა-კუდობას
(ისევ თხოვნა სჯობს მწერლურ ქურდობას!)
წამოიჩოქებს
აზრით და მუხლით...
(დაე იხოხოს, ჩვენ არ დავუშლით!)
და დასტყოვს ამ გზით
სულის მალამოს
ღმერთმა შეარგოს, ღმერთმა აამოს.

**ეშმაკი.**



**ახალი გრამაფონი.**

ნეტავ რას უკრავს, სტეფანე,
ე საჯერანე მაშინა?
ვუყურებ, ვერა გავიგე
წავიდეთ ყური მატკინა.

## ოზურგეთის რამე-რუმე.

ძმაო ეშმაკო! კაი ხანია ოზურგეთისაკენ არ ჩამოგინავარდებია. მართალია პირად მოგზაურობის ნაცვლათ შენ აგზავნი საკურნებულ საშვალებებს: „მათრახის კუდს“ და „სპერმაკუდინს“, მაგრამ გეფიცები ტარტაროზს უშენოთ ეს საშვალებანი ოზურგეთს ვერას არგებენ. აქ ერთი კაციც კი არ მოიპოვება ისეთი, რომელმაც აღნიშნულ საშვალებათა დოზიროვკა შესძლოს. მაშ ასე, უნდა ჩამოინავარდო! გიცდით!

ჩამოხვალ თუ არა, უცხუნებ!.. მარა არა, ნაცხუნები თითქმის ყველას აქვს და ახლა ამის გამო ავათაც არიან, ამიტომ, გირჩევ, მიმართო ისევ შიგნით სახმარ ,,სპერმაკუდინს'' და მათმათი სულიერ-ზნეობრივი მდგომარეობისდა მახედვით ყველას განუწესო ამ სამკურნალო საშვალების შესაფერისი დოზა. ამასთან იქონიე სახეში, რომ ზოგიერთ მათგანის სრულიად განსაკურნავად 60 წვეთზე მეტიცაა საჭირო.

უმთავრეს შენს ყურადღებას იმედია „ივანოვის“ ქუჩას მიაქცევ. ეს ქუჩა გაჭიმულია პოლიციიდან ვიდრე ნაობახამდე და მეტ სახელად „შპიკთა'' ქუჩას ეძახიან, ამ ქუჩაზე არის თითქმის ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებანი მაზრის სამმართველოდგან მოკიდებული ვიდრე ,,მასიკოს კანცელარიამდე'' (ВКЛЮЧИТЕЛЬНО). ამ კანცელიარიას აქ ყველა დიდ მნიშვნელობას აწერს. აქ მარხია თურმე 102 მკვდარი ძაღლის თავი და ამიტომაც განაგებენ მას კნიაზები, ეგ ძაღლების მოყვარულ წოდების წარმომადგენელნი! შეხვიდე ამ კანცელარიაში თუ არა, უცხუნე! კნიაზებისათვის კი იქონიე თან ორი შაურის ,,სპერმაკუდინი''.

იქვე ,,კანცელიარიის'' მახლობლათ ქუჩის მეორე მხარეზე ცხოვრობს ვიღაც ქვრივი. ეს ქვრივი როგორც ბოროტი ენები ამბობენ ერთი მთავარ აგენტთაგანია ადგილობრივ ,,ტუსაღთა განმათავისუფლებელ კომიტეტისა'', რომლის წევრთ ძველათ ძალიან დიდი ,,დახოდი'' ჰქონდათ, მხოლოდ ამ ბოლო დროს კი ჩაუცვივდათ კოვზები ნაცარში.

ცოტას რომ ჩაიცვლი, სატუსაღოს ალაყაფის კარებს მიადგები. მართალია შენ ჯოჯოხეთში ნაშობ-აღზრდილს ძალიან დაგეზარება ამ ჯოჯოხეთზე უჯოჯოხეთეს დაწესებულებაში შესვლა, მაგრამ რადგანაც ამას 150 ტუსაღის ინტერესი მოითხოვს იმედია შეხვალ. შეხვიდე თუ არა, ერთი ასიოდე უცხუნე ზედამხედველს ი. ჯაყელს. თანაც დაარიგე, რომ ხელი დაიბანოს, ჭუჭყი ნუ უყვარს; ჭუჭყი მას სხვაც ეყოფა.

არ გაივიწყო მიკიტანი კუნჭულიაც. მისთვის ზნეობა სხვას ვის მოუთხოვია, მაგრამ საზრდო-სანოვაგის ღირსება ნაკლულევანებაზე მაინც-კი შეგვიძლია ორიოდე სიტყვით მივმართოთ. მოვაგონებ ამ ვაჟბატონს, რომ უხვად გაცემული ,,ფუჩუხი'' ვერას უშველის. საჭმელსასმელისუფთა და ახალია საჭირო. ბ მიკიტანი შეიძლება იმას ჰფიქრობდეს ტუსაღებმა აგ-კარგის დაფასება არიციანო. თუ მონარჩენი გაქვს ერთი მოძველებული ,,სპერმაკუდინი'' დაასულაშე ამ კუნჭულიას და იქნებ მაშინ მიხვდეს, რას ნიშნავს ძველი სანოვაგე. ნახვამდის!

შენი **ონისიმე.**

## მოგზაურობა რაჭაში.

ძმაო ეშმაკო! რაკი შენი ნება-სურვილი წინ მიმიძღოდა ახლო წარსულში რაჭისაკენ გავემართე, რომ კვლავ მენახა მისი მშვენიერი სახე. გზა და გზა გელოვანების საბრძანებელ ლეჩხუმზე მომიხდა გარება და იმდენი გასძელი, რამდენი კანკალი ჩემმა გულმა განიცადა. დამავიწყდა, რომ თან მათრახი მქონდა, და არც ღირდა მისი გახსენება, რადგან მისი ბრწყინვალება ჯუჯულიც კი, დროთა ბრუნვას უფრო მძლავრი იარაღის პატრონი გეხადა! ამ ყოფით გავცდი ,,ასკის'' წყალს და რაკი აქედან რაჭა იწყება, გული ისევ საგულეს ჩადგა, ყალყზე ამდგარი თმაც ძირ-ძირს დაეშვა! მალე სოფელს **სადმელს** მიუახლოვდი, სადაც კარგა ბლომათ გლეხები შეგროვილიყვენ. ამან კიდევ უფრო გამახარა, მომაგონდა არა ერთი და ორი სურათი ,,ოქტომბრის'' ცხოვრებიდან.—ერთ გლეხს ხელში უშველებელი თაბახი ქაღალდი დაუნახე, რომელზედაც ვირის სისხლ ასოებით ეწერა: ,,**პრიგოვორი**'' და რომელიც, თლათ სულზე ხელის დადებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ისე კი ვფიქრობ: ერთ-ერთი რაჭველი ფედერალისტის ნაკალმი უნდა ყოფილიყო: როცა ვიკითხე: რაის შესახებ შეედგინათ ,,პრიგოვორი''? გლეხებმა მიპასუხეს: ,,ეს შენი ჭირიმე მიტომ დავსწერეთ, რომ ვიქტორ და კირილე ჯაფარიძეებს ,,ერთობის'' ღალატი დასწამეს. —ასეთი ხმები აფხანიკო ტყუილია! **პირ იქით ხსენებულნი ჯაფარიძენი არიან სრულიად კარგი ღირსებისა და ამისათვის ვსთხოვთ ყველა მათ წინაშე მოწინააღმდეგეთ, რომელ მათზე იქონიონ სრული ნდობა!**'' აშენდა თქვენი ოჯახი, რახან ,,ერთობის'' კაცებს მასე ესარჩლებით მეთქი და ჩემს გზას გაუდექი.—სადმელს კარგა გამცდარი ვიყავი, რომ უცბათ მრისხანე ხმამ: ,,სტოი!'' მომახედა.—ჩემს წინ კირილე იდგა, რომელსაც ,,ბერდანის'' თოფი მოეშვირა და ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ მიბრუნ-მობრუნება დამაწყებია! მე მეგონა: ნასალდათევი კაცია და რაკი ,,ერთობაში'' შევიდა, უთუოთ ,,უჩენიას'' მასწავლის მეთქი, მაგრამ მალე საყვარელი არსება შემეხმატკბილა: ,,უნ და მოგკლაო'', და ის იყო ჩახმახის წკეპას აპირებდა, რომ დამსწრე ქალმა სტაცა ხელი! ხლა კი მივხვდი რაშიაც იყო საქმე და გულში ზრახვად განვიელე: ,,კაი დეემართა სადმელელებს, კაი ,,ერთობის'' კაცი იმათ ყოლიათ მეთქი!'' მალე ვიქტორის ხილვის ბედნიერებაც მქონდა, და იმანაც ისე მარჯვეთ იშიშვლა თეთრ ტარიანი ხანჯალი, რომ გლახათ იყო საქმე თუ ,,პრისტავი'' არა!...

ასე საჯაყი საქმე მომიხდა...
სადმელს გლეხებმა მაცდუნეს ასე,
დაგემდურები ძმაო ეშმაკო!
თუ მათ ეს ღვაწლი ვერ დაუფასე!

იმათი რიცხვი ას ხუთმეტია
ვინც შეადგინა ის ,,პრიგოვორი'',
და მათ შუბლის კანს არას ეყოფა
მათრახის კუდი ერთი ან ორი!

**ნაცნობი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილები ეშმაკისადმი

**ლანჩხუთიდან:**

ეშმაკო, ჩვენს სასწავლებელს
არ იქნა, არ ეშველათ
შენ რომ ინსპექტორს უცხუნე
სულ ადრე მოეშველათ.
მგონია კიდეც აწუინა
თლათ გამოუწვა პირიო
რაებს არ სჩადის: შეგირდებს
სულ აუბნია ტვინიო.
გთხოვთ თქვენი ,,სპერმაკუდინი''
ამაზეც სცადოთ ერთიო
მაგრამ ნაკლები არ არგებს
თუ არა ასი წვეთიო.
თუნდ მიაძინოს, ნუ დასდევ
იქ მიეც კარგი ბინაო
გარწმუნებ მთელი ლანჩხუთი
მადლს გეტყვის მაგისთვინაო.

ყიამეთი.

—

**ს. გორდიდან** (სენაკის მაზრა). ეშმაკო! ს'ორებ ახირებული ვინმე ხარ! სჩანს საქართველოს „გეოგრაფია“ კარგად არ გაქვს შესწავლილი, თორემ რას უნდა მივაწერო ის, რომ თითქმის ყველა კუთხეები მოიარე და იმისთანა კუთხე, როგორიც სოფ. გორდია კი ასე უყურადღებოდ მიატოვე! ნუ თუ არ იცი, რომ გორდი დადიანების „რეზიდენცია“ იყო!? და რადგანაც ეს ასეა, ხომ იცი, რომ ზუბრების „რეზიდენციაში“ ბევრი ზუბრი იქნება? ზუბრების უმეტესობა მოგეხსენება შეპყრობილია თანამედროვე სენით, რომელსაც რეაქცია და „რეაქციის ძმა-ბიჭობა“ ეწოდების და რომელსაც ეტის-მეტად უხდება შენ მიერ ახლად გამოგონილი „სპერმაკუდინი“. მაშ ასე, ამოფრინდი გორდში და პირველად თავ ზუბრს, გიორგი სახუციშვილს (ჩიქოვანს) უ.ხუნე. მისი წყალობით რა არ დამართეს საცოდავ გლეხებს! თუ რამ მოეპოვებოდათ ხისაგან გაკეთებული: გობი, კოვზი, ტახტი, შკაფი, სტოლი, ჭერი, ფიცარი და სხვა, ყველაფერი წაართვეს და გაინაწილეს ზუბრებმა (მათი რიცხვი ლეგიონა) აქაო და ჩვენი ტყიდან გამოტანილიაო. როდესაც გიორგის მორჩე, მერე მის უმცროს ძმებს დიმიტრი და ჭუჭუ ჩიქოვანებსაც მისთავაზე უებარი შენი „სპერმაკუდინი“. ამის შემდეგ პირდაპირი „ვიზიტი“ გაუკეთე სასახლეში თ. მინგრელსკის მოურავს ქავთარაძეს და მასაც მიაწოდე ორი უნცი „სპერმაკუდინისა“, რადგანც ყველაფერში ისიც გიორგის მარჯვენა ხელია; დიდო ეშმაკო! ნუ დაგავიწყდებათ ევლოგის უმცროსი ძმები, სულიერი მამები! განსაკუთრებით გრიგოლ ხუცესი, რადგან იგი ყველაფერში „ჭეშმარიტი ხუცესია“—(დრამის ფული რომ სწრაფ გადასანსლეს).

გუგუ.

—

**ხონიდან.** მეგობარო ეშმაკო! ვხედავ ხხვებიც ძლიერ გაწუხებენ, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა მათრახი გთხოვო, რადგან ძლიერ საჭიროა ხონის თეატრის კომისიის წევრებისათვის. წარმოდგენები არ გვაქვს, რომ პირველ რიგში ისხდენ და ისე კი ეს ოთხი თვეა ვერავითარი ერთის სახრით ვერ შევკრიბეთ.

როგორც სხვაგან, აქაც ძლიერ გავრცელდა ყვავილი და ადგილობრივი სანიტარები, ალბათ სიფრთხილისათვის, ახლა კარ ჩაკეტილ ოთახში შლიან „ცხრამეტში თავშავს“ (?). ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველმა სასწავლებელში ცეცხლის ნთება შეასუსტა, რომ შეგირდები ფერთან არ შეგროვდნენ და ერთმანეთში არ გაავრცელონ სენიო. წარმოიდგინეთ „სტოროჟიც“ კი მოარიდა და თავის სახლში ყავს დახიზნული. თედორე „ვაქსენატორმა“ ხომ ჩანთა აივსო ფულით, რა ქნას! თუ ბევრი არ აჩუქე ასაცრელად არ სცალია ხოლმე.

შეუჯგენ არჩეული პირები სამკითხველოს სალათას ძილისაგან გამოღვიძებას. ზოგიერთმა წევრებმა (რწმენით ფედერალისტებმა), კითხვა აღძრეს სამკითხველოში იყოლიონ მუნჯი, თორემ დებატებს დაგვიწყებენო.

გარდა ზემო აღნიშნულისა ხონი იმითაც არის შესანიშნავი, რომ თუ რაიმე თანამდებობა არ გიჭირავს აქ ისე საქმეს ვერ იშოვი. ხონელების აზრით უსაქმოთ დარჩენილი კაცი საქმეს ვერ გაუძლებს. ამიტომაა, რომ თითქმის ყველა აქაურ მღვდელს ოთხი თანამდებობა უჭირავს და ექიმებს კიდევ მეტი.

კვანჭილა.

—

**გურიიდან:**

პატივცემულო ეშმაკო!
მოკითხვას გითვლით ძმობითო,
ერთი ჩამოდი აქეთკენ
პირადათ გაგეცნობითო.
კალანდა დილას თუ ნახე
ვინმე მარანზე გობითო
გადაჰკარ შენი მათრახი
ძმობა-ამხანაგობითო.
არ იქნა არ დაიშალეს
ეს ჩვეულება ძველიო,
ზოგი დასაკლავ დორს ეძებს
ზოგს არ ჰქონია ველიო.
ძალიან მზადებაშია
მანდილოსნები ჩვენიო
აცხობენ ხაჭაპურებსა
მიდის და მოდის ძღვენიო.
ვერ დაინახავ სუფრაზე
ფიშტოს და მაჭახელასო,
ერთობამ მთინადირა
ჩამოგვაშორა ბელასო.
მაგრამ მთელი წლის სარჩოსა
ერთათ რომ ჭამენ ყველასო!..
ამაში, ჩემო ეშმაკო,
შენგან მოველით შველასო.

გურიანთელი.

—

## სამტრედიის რაიონიდან

ძმაო ეშმაკო! მას შემდეგ, რაც თქვენი ახალი წამალი („კუდინი") მოიგონეთ დღე ერთი არის და ასჯერ მოდიან ჩემთან ავათ-მყოფთა მოკეთეები. ახლა გთხოვთ ძმაო ეშმაკო, ნუ დამიტოვებ იმათ ვინც აუცილებელ საჭიროებათ თვლის „კუდინის" მიღებას. ამასთანავე მოგაგონებ, რომ ამ საშვალებამ ძლიერ გასჭრა.

ამისთვის გთხოვ **სოფ. დიდ-ჯიხაიში** გამოუწერო ნიკო ჩხეიძეს $33^1/_4$ წვეთი. ანტონ მხეიძეს 41 წვეთი. ოქრუა ვაშაკიძეს, როგორც გლეხს და შრომით დასუსტებულს 19 წვეთი, თუმცა თითონ 40 წვეთს ითხოვს. სტეფანე ვაშაკიძეს, როგორც უმუშევარს 50 წვეთი დასჭირდება. ილარიონ ვაშაკიძეს 29 წვეთი:

**სოფ. ეწრის** მამასახლისს და მწერალს გამოუგზავნე $35^5/_7$ წვეთი თითოს. იასაულს კი, რადგან ამ მოკლე ხანში „სტრაჟნიკათ" მიდის, ღონის მოსაყვანათ 45 წვეთი. ისაკ ახვლედიანს 39 წვეთი. წამალი ჩემ სახელზე გამოგზავნე, რომ გადავცე დანიშნულებისამებრ.

ჩემი ადრესი ხონის ქუჩა, სახლი № 1.

**„ალაგეთური"**

—

**ჯუნჯუათიდან:**

ჯუნჯუათის კბილის მატლი
მამულა და მისი შვილი
გუშინ გმირი ერთობისა
დღეს სხვა საქმის გამოცდილი,
„იმით" ფიქრობს გამდიდრებას,
შეხეთ საწყალ ჭია დუას!
გთხოვთ, ეშმაკო, გადუცხუნოთ
რომ დაუხმოს იქნებ ჭკუას.

ყიამეთი.

—

**მარტვილიდან.** ბ. ეშმაკო! მოგილოცავ ახალ წელს და გინატრი იცოცხლო კიდევ ბევრ ხანს შენის ძვირფასი გრძელ კუდიან მათრახით. არ დამემდურო ჩემო კარგო, რომ კიდევ გაწუხებ. ახლა მათრახი არ გვჭირია, ცოტა ხანს დაისვენოს შენმა მათრახმაც. ეხლა სულ სხვასა გთხოვ. აი რასა: ახობაძის „სპერმატინი" იცი, ჩემო მეგობარო ეშმაკო, არ უხთება ჩვენ ავათმყოფ მეაფთიაქე თევდორეს. გთხოვ გენაცვალე, შენ მიერ ახლად გამოგონილი „სპერმაკუდინი" ფასდადებით გამოგზავნო მის აფთიაქში, რომ ის ამ წამლის მიღებით შენი მათრახიდან ძალღვებ აშლილი დამშვიდდეს, ცოტა ილაპარაკოს და უფრო მეტი ხანი კი აფთიაქში დაჯდეს. აგრეთვე შენი ჭირიმე ეშმაკო, არ დაიშურო ის „სპერმაკუდინი" მასწავლებელ ცხაკაიასათვის, რომ ისეც გამათრახებული ამას წინეთ, დაწყნარდეს, თავის ბინაზე—სკოლაში საღამოობით ადრე, ზარის დაურეკავათ მივიდეს, რომ ამ უდროო დროის რეკით სხვებს ძილი არ დაუფრთხოს, უფრო კი სკოლის ახლო მცხოვრებ პოლიციის დარაჯებს და მიატიოს სულ უბრალოზე ბოქაულთან საჩივლელათ სიარული. ამასვე, ეშმაკო, გეხვეწება სკოლის მსახური ალექსანდრე, რომელსაც მისმა ზარის რეკამ კინაღამ ვირის აბანოში არ ამოაყოფინა თავი. არ დაგავიწყდეს ეშმაკო, „სპერმაკუდინი" უნდა იქნეს იმ ზომის, რა ზომისაც მათ სჭირიათ.

კიდევ შენი **„უჩინმაჩინი"**.

—

**ს. პერევისა** (შორაპნის მაზრა).

პერევისა არ გეგონოსთ
უკან ჩამორჩენილიო,
აქაცა გვყავს ბრწყინვალენი
ჭკუით გამოტენილიო.
გლეხებს ისე არ ინდობენ,
როგორც ბატკანს მგელიაო,
ატყავებენ, ტყეპენ, ტყეჟენ,
მარა ვინ გვყავს მთქმელიაო.
მწერალ-მამასახლისი გვყავს,
სანთლებლად გვმებიო,
რეაქციის საქმეებში
არ გეგონოსთ ხამებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულება მოგახსენოთ,
ძველებურათ აქ არისო,
სამართალსა იქეთ წუვეტენ
სითაც ხმაა ქანქარისო.
სტრაჟნიკებიც ნავარდობენ
მწერალ-მამასახლისითო
და იჭერენ შემჩნეულებს
ხან ღამე და ხან დღისითო.
ბერევის რით გგონიათ
სხვებზე ჩამორჩენილიო?
არა, არა!.. ჩვენც ბევრი გვყავს
საქები დროის შვილიო.

**ცხვირა.**

—

ს. **გეზრული** (შორაპნის მაზრიდან).
დაუვიწყარო ეშმაკო!
მფრინაო მალ-მალ უველგანა,
აქეთ რომ შემოგეარა
ღირსი არ ვიყავთ ჩვენ განა?!

განსვენებული ნოშრევან ჩხეიძის სახლს, ხუთი ყაჩაღი დაეცა, მაგრამ ფული ვერსად აღმოაჩინეს. ამბავი მსწრაფლ ეცნობა ჭიათურის პოლიციას.
კუხალაშვილი *) გაქანდა;
ამალა ახლდა მრავალი,
სოფელს მიადგა შეუვირა!
(სხვაფრივეც დასტუქსა მრავალი).

ყაჩაღების ბინა ასწავლეს, მაგრამ შესდგა რაინდი, რადგანაც ესმა ყურსა მისსა, ისინიც შეიარაღებულნი არიანო. კვალად სოფელს შებღვირა: რატომ არ დაიჭირეთ, თქვე თითონ ყაჩაღებოო და მიაყოლა ისევ...

დაბრუნებისას ყაჩაღებიდან აწიოკებული ოჯახის წევრები დატყვევებული ჩამოასხა ჭიათურაში.
მოდის და მოყავს ნადავლი,
ქალი, კაცი და ბავშია,
დახედეთ ჩვენსა ტარიელს
რა საქმე მოუჩმახია.

ასეთ რაინდს რა ეკადრება, ძმაო ეშმაკო, შენ უკეთ იცი და საშვალებას ნუ დაიშურებ.

**გამვლელი.**

—

**ბათუმიდან**: ეშმაკ ეფენდი! გაგეგონება. ბათუმს რომ წყალი გამოყავს. ჰო და თუ გაგიგონია მიდი იმ მილებზე მომუშავეებთან, რომელსაც ალექსანდრე კახიანი უფროსობს. გამოიძახე აღნიშნული ბვამი, წამოაქციე და 4 საათს უწყვიტინე და უწყვიტინე, ვინაიდგან მან წაართვა მუშებს რვა საათის სამუშაო დღე და ახლა თორმეტ საათს ამუშავებს. ამასთან ერთად ალექსანდრემ ხელფასიც მოუკლო და უწინდელი 1 მ. 30 კ. მაგივრათ ახლა მხოლოდ მანეთს აძლევს.

თუ არ შეგეზაროს ინახულე ჩვენი „მოსოსიალისტო“ ტეხნიკი ავთანდილ ჯულაბოვი და ჰკითხე: რა უქნა იმ 150 მანეთს რომელიც „მუშებმა“ შეაგროვეს ინჟინერ მიხაილოვისათვის ხატის მისართმევათ*) და იმან კი უარი განაცხადა. გაფიცებთ ვალერიან გუნიას პატიოსნებას არ მიეშვა მანამ არ გითხრას სად წაიღო ფულები და თუ საჭირო დარჩეს ამ მიზნის მისაღწევათ „სპერმაკუდინიც“ მიაღებიე.

შენი **კაკილა.**

*) ეს გმირი წინეთ ერთობის კაცი ყოფილა ფოთის ცხარეს.

—

**ქვიტირიდან.**
ეშმაკო! ქვეყნათ ძლიერო
კუდ-მწარე მათრახიანო
შენ გევედრებით გვისმინო,
მალე, არ დაიგვიანო
და ჩამოფრინდე ქვიტირში
სადაც ყოფილხარ ძველათა
თან წამოიღე მათრახიც
ზურგების ასაწველათა
„მოსე მწერალი“ სამსონა
და მისი ცალი ევგენი
ორივე გაამათრახე
შეუბრალებლათ ეგენი.

უკუდო ეშმაკი.

---

## სამი დღე სამოთხეში.

(იხ. „ეშმაკის მათრახი“ № 14).

„ცნობის ფურცელი“ ჯერ ტრიბუნაზე არ ასულიყო, რომ სამოთხის კარებთან შვიდ-ფეროვანი ცისარტყელა ამოიმართა. მე თითქო მიგრძნო გულმა: ქვეყანაზე კარგი ამბავი არ მომხდარა მეთქი და გულისთქმა მართლაც მალე გამიმართლდა: კარები გაიღო და ჩემი ნაცნობი გაზ. „ცისარტყელა“ მხიარულათ შემოფრინდა სამოთხეში.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს, ვინც მოვიდა გაუმარჯოს! ერთხმათ იგრიალეს გაზეთებმა და შემოეხვიენ ახლად მოსულს. მარტო „კვალი“ არ დაძრულა თავმჯდომარის ადგილიდან.

**„კვალი“.** ბ-ნებო! მობძანდით, ჯერ კრება გავათავოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ კერძო საქმეებზე. იმედია ახალ მოსული „ცისარტყელაც“ გვიამბობს რამეს.

ყველა თავ-თავის ადგილს დაუბრუნდა და „ცნობის ფურცელიც“ ტრიბუნაზე ავიდა. ხალხი სმენათ გადაიქცა.

**„ცნობის ფურცელი“.** — მეგობრებო! აქ უმრავლესობა და დიდი უმრავლესობაც, ახალგაზრდები ხართ. მხოლოდ ბატონ თავმჯდომარეს ახსოვს ჩემი სიჭაბუკის დღენი, თუმცა მე თითონ სიმწარით ვიგონებ დროს გარდასულსა. მამა ჩემი ვალერიან გუნია... („წყარო“ ადგილიდან — თფუი! „ჩვენი გზაც“ გადააფურთხებს).

**თავმჯდომარე.** გთხოვთ პატივი დასდოთ პიროვნებას! (უფრო ახალგაზრდებში ჩუმი სიცილი გაისმის).

*) თუ შეჭამა — ღმერთმა შეარგოს.

ეშმაკი.

**,,ცნობის ფურცელი''**. სასაცილო აქ ჯერ არაფერი თქმულა და გთხოვთ ლაპარაკს ნუ შემიშლით. ვალერიან გუნიას ხელში, ე ი. მამის ოჯახში მართალი გითხრათ მე თითონა მრცხვენოდა ჩემი სიმახინჯისა. მამა კომერციის კაცი მყავდა და ყველაფერს ვაჭრული თვალით უყურებდა.

(,,წყარო'': დღესაც ვაჭარი ბრძანდება).

**,,ცნობის ფურცელი''**. (განაგრძობს) მაგრამ საბედნიეროთ მამის ოჯახში დიდხანს არ დავრჩენილვარ. სულ ახალგაზრდა მიმათხოვეს ფედერალისტებს. (,,გრიგალი'':—კარგი რამაც უთხოვიხარ!) გთხოვთ ლაპარაკს ნუ მიშლით! მას შემდეგ, რაც ნამდვილ ჭეშმარიტ ქართულ ოჯახში ჩავიჭერი, მეც საოჯახო და საერო საქმეს მოვკიდე ხელი. მართალია ჩემი ,,სიტყვა'' მხოლოდ სიტყვა იყო და საქმეს უნარს ვერ ვაძლევდით, მაგრამ ამ ბაქი-ბუქითაც თავი გაგვქონდა.

რაც ბ-ნმა ,,სხივმა'' ბრძანა, ყველაფერი ის ჩემს გულზედაც არის აღბეჭდილი და თქვენი არშინითაც რომ გავზომოთ ჩემი ქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი წუთები, იმედი მაქვს გულ ნაკლული არ დარჩებით! ჩვენი ქვეყნის აოხრებამ მეც მატკინა გული და წაუშლელი დაღი დამასვა. დაბა-ქალაქების დანგრევამ, სოფლების აწიოკებამ ჩემზედაც მწვავე შთაბეჭდილება მოახდინა. ვერ მოვითმინე, დავკარგე ნაქები სიფრთხილე და თქვენც მოწამე იყავით ბატონებო ჩემი აღსასრულისა. მე გავათავე სათქმელი და თქვენთან ერთად მოუთმენლათ ველი ,,მეორეთ მოსვლას'', როცა ნება მექნება თავი დავახწიო თუნდაც უზრუნველს და სხვა დროს სასიამოვნოს, მაგრამ ახლანდელ პირობებში მაინც აუტანელ სამოთხის ცხოვრებას.

,,ცნობის ფურცელი'' ტრიბუნიდან ჩამოვიდა. გაზ. ,მუშამ'' ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა. რაღაცას ჩუმათ ლაპარაკობდენ. უცებ გაისმა თავმჯდომარის მკაფიო ხმა:

— სიტყვა ეკუთვნის ბ ნ ,,განთიადს''.

,,განთიადი'' ტრიბუნისაკენ გაემართა და ჯერ ლაპარაკი არ დაეწყო რომ წესრიგისათვის სიტყვა ითხოვა გაზეთმა ,,საყვირმა''.

**,,საყვირი''**. ამხანაგებო! რადგანაც ჩვენი სტუმარი ,,ეშმაკი'' სულ მოკლე ხნითაა ჩვენთან მოსული და აგრეთვე სამოთხეში კიდევაც შეუტყვიათ იმისი შემოპარვა, რის გამო იმედია ადგილობრივი ადმინისტრაცია საჭირო ზომებს მიიღებს, წინადადებას ვიძლევი ლაპარაკის ვადა განვსაზღვროთ ხუთი წუთით.

წინადადება ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა და ტრიბუნაზე გაზეთი ,,განთიადი'' ავიდა.

**ეშმაკი.**

(შემდეგი იქნება)

---

## ადგილობრივი ფოსტა.

**დაბახანიდან**. პატივცემულო ეშმაკო! ალბათ არ იცი თფილისში რაები ხდება თორემ არა მგონია პროვინციისათვის მოგეცალოს. ტყავის ქარხნების ხაზეინებმაც აიგდეს თავი. სახელიოა მამისათა და რეაქციისათა ყველა მოპოებული უფლებების ხელიდან გამოგლეჯა მოგვინდომეს. დაჰკრეს ლოკაუტი, მაგრამ ხაზეინების ერთი ნაწილი მუშებს მოგვემხრო. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თქვენი მხრით ბ-ნი ლოკაუტ-მეისტერი ბალდო მელიქოვი. ჩვენი ბალდო მშვენივრათ ათამაშებს მუშტებს და მუშა გიგო არუთინოვს გვერდებიც დაუზილა. მე მგონია მაგას ძლიერ არგებს ერთი თქვენი მათრახის კუდი ან 50 წვეთი „კუდინი''.

მარტიროზ მატინოვს, რომელიც დათარეშობს თავისი ,,მეირაკანებით'' მარტო ,,კუდინი'' ეყოფა. დაიჭირეს რამოდენიმე მუშა ხაზეინების მეოხებით· უსახელო მუქარის წერილებს სწერავენ იმ ხაზეინებს, რომლებიც მათ ლოკაუტს არ მიემხრენ. აი ერთი წერილის პირი:

> Хазеински митикъ 3 декабря 1907 г.
>
> Госпадинъ Артемъ Аветисовъ, ваши таварищи запастовилъ а чего вы ни запостовилъ какъ ваши таварищ ти тожи такъ если ни будитъ слищитъ ваши дело хуже поитотъ.

ხომ ხედავ ბ-ნო ეშმაკო, რაებს სჩადიან და იმედი გვაქვს ამათზე მოახდენ შესაფერ ფიზიკურს (მათრახით) და ზნეობრივს (კუდინით) გავლენას.

ზინვოლი ვასო.

**ვეტცელის ქარხნიდან** პატ. ეშმაკო! ამ ზამთარში ალბათ ლუდს არ მიირთმევთ და კიდევაც ამიტომ არ შეგიხედნია ერთი ვეტცელის ლუდის ქარხანაში. შესვლათ კი ღირს თქვენი მათრახის მზემ! კარტი და სხვა ამგვარი გონებრივი დროს გატარება ძლიერ შემოვიდა მოდაში აქაური მუშებისათვის. 8 საათი მუშაობა, 8 საათი კარტი და 8 საათი ძილი! თუ არ გენანება რამოდენიმე წვეთი ,,სპერმაკუდინი'' გამოგვიგზავნე და ჩვენც ზაფხულში გადაგიხდით ლუდით. კუდინმა თუ არ გასჭრა მაშინ ისევ მათრახის კუდს მივმართავთ და იმედია არ გაგვაწბილებთ.

ექს ემიგრანტი.

---

# დეპეშები

**ოზურგეთიდან**. ხმა დადის, მიროვოის პრასედნიკი ნიკოკა გადაჰყავთ ამავე თანამდებობაზე ლეჩხუმში, მის ადგილას ინიშნება კნიაზი პარმენი, პარმენის ადგილას კ. ბერიძე, ბერიძის ადგილს დიმიტრო, დიმიტოს ადგილს კნ. მგელოვანი, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილას ცნობილი სტრაჟნიკი პარტყალავა.

**ბათუმი**. საურთიერთო ნდობის ბანკის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თ. მიშა ნაკაშიძე პეტერბურგს გაემგზავრა, რომ ბანკის გამგეთ მოიწვიოს რუსეთში უკვე ცნობილი ფინანსისტი გრ. ვიტტე. სასყიდლათ გრაფს 100000 მანეთს პირდებიან. თუ ვიტტემ უარი განაცხადა. მაშინ თითონ მი-

შა ნაკაშიძეს სურს იკისროს ეს ,,ეკლის გვირგვინი“ და ხელფასსაც 100,000-ის მეოთხედს სჯერდება.

ამავე ბანკის სადგომში ბანკისავე ადმინისტრაციამ მოახდინა სასტიკი „ობისკი“ ეშმაკის მათრახის ბათუმელ კორესპოდენტის „ბლიკვაძის“ აღმოსაჩენათ. ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

სადაურსა სად ეძებენ,
სად უთხრიან სამარესა!
კიდევ კარგი თუ ,,ობისკი“
მარტო ბანკში იკმარესა?

**დუშეთი.** ადგილობრივ მღვდლებსა და დიაკვნებს შეტაკება მოუხდათ ცხვრის თავ-ფეხის განაწილებაზე. ზარალი ორივე მხრივ დიდია. დიაკვნების დასამშვიდებლათ დუშეთის ადმინისტრაციამ ზომები მიიღო.

**ჯიგთუბანი.** შობა დილით მღვ. პავლე შენგელიას და მის დიაკონს ჩხუბი მოუვიდათ შესახებ იმისა თუ ვისას წასულიყვენ სადილათ. მოძღვარი მსუბუქათ გაიკაწრა.

**სამტრედია.** ვ. გა—ვაზე სასწაულებრივი გავლენა იქონია „სპერმაკუდინის“ წვეთებმა.

**იანეთი.** ადგილობრივმა მღვდლებმა ახალი ანაფორები შეიკერეს, სჩანს დრამის ფული ზორბათ აუღიათ.

**განჯა:** დაუყონებლივ მოგვაწოდეთ თქვენი უებარი წამალი ,,სპერმაკუდინი“ მოპოეტო ენაგრძელ ოდიშარიასათვის. დარიგებაც გამოაყოლეთ.

**ხონი.** ახლო მომავალში ხონს ეყოლება საკუთარი ტანც-მეისტერი. ადგილობრივ მარიანკებისა და სხვათა ხვანცარაკს არა აქვს დასასრულ.

**ამაღლება.** (გურია) გადაგვეღო მამა შვილი ესაია და ივანე. ვწუხვართ. პანაშვიდები ყოველ დღე კანცელარიაზე, მთელი ქვეყანა ძაძითაა მოცული.



## სიმღერა

,,პრისთავმა“ სთქვა, სიზმრათ ვნახე
რაც რომ თავს გადამხდებოდა;
ფულები ბევრი შევჭამე..
თან და თან გამიტკბებოდა..
„ნედლომკებსა ვარქმევდი
ვკრებდი ვინ მიმიხვდებოდა;
კბილები კაწკაწს მიწყებდენ
ფულის ხმა ყურს რო ხვდებოდა.
მეფე ვიყავი ქვეყნისა
მსჯავრი მათრახით წყდებოდა
ვინ გაბედავდა ურჩობას
ან საქმით შემეხებოდა?
ერთობის ხმამ რო გაისმა
შევატყე არ შემრჩებოდა...
წითელ რაზმელი ბიჭები
თოფ იარაღში სხდებოდა.
შემაგდეს ისეთ სოროში
გველი თუ შეცურდებოდა
თანაც იმგვარათ დამზილეს
ძვალი რო დარბილდებოდა.

ვ. მალაქიაშვილი.

**დამატება.**

ჩამოიარა ერთობამ,
კვლავ დარი დაგვიდგებოდა
შევხედე ჩვენი სტრაჟები
სოროებიდან ძვრებოდა.
მეც გამოვედი მშვიდობით
სიცოცხლე გამიტკბებოდა,
ერთობის დასაქოლავათ
ახალი რაზმი დგებოდა.
კვლავ დავეწაფე სხვის ჯიბეს
ვძარცვე ვინ მიმიხვდებოდა,
ქრთამისა ურჩი ვაჟკაცი,
ციმბირში გადახტებოდა.

ეშმაკი.



## „ეშმაკის მათრახის“ რედაქციისაგან.

არა ერთხელა და ორჯერ ვსთხოვეთ ჩვენს პატივცემულ კორესპოდენტებს, რომ შეუმოწმებელი და მრავალ-გზის აუწონ-დაუწონელი ამბავი არ მოეწოდებიათ რედაქციისათვის, მაგრამ უსიამოვნო შეცდომა მაინც ვერ ავიცილეთ სავსებით.

მაგალითად გამოირკვა, რომ მეათე ნომერში მოთავსებული გამოცანის (ასკანიდგან) ორი უკანასკნელი სტრიქონი.

,,და ბატონებს „წრფელის გულით“
უთავაზა სტამბა ძველი“,

**სრულს სიცრუეზე ყოფილა დამყარებული**

და კორესპოდენტს, ნორდკინს რედაქცია შეცდომაში შეუყვანია. ჯერ-ჯერობით საყვედურს ვუცხადებთ აღნიშნულ კორესპოდენტს, მაგრამ თუ მისი მოქმედება რაიმე პირადი ანგარიშებით იყო გამოწვეული, ადარც ,,მათრახის კუდსა'' და სპერმაკუდინს დავუშურთ.

მეშვიდე ნომერში სწერია სამტრედიიდან:

„რადგანაც ადგილობრივი ფოსტის უფროსი მეტ დროს არშიყობაში ატარებს და აგრეთვე სამტრედია სავსეა სოციალ-დემოკრატებით, ამიტომ აქედან აკრძალეს ფულის გაგზავნა“.

როგორც გამოირკვა ბ-ნი ფოსტის უფროსი სრულიადაც არ ყოფილა მოარშიყე და სამტრედიიდან ფულის გაგზავნის მოსპობაში არავითარი წილი არ უძევს, ამიტომ დიდ საყვედურს ვუცხადებთ აგრეთვე ჩვენს სამტრედიელ კორესპოდენტ ა. წვაისს. ვფიქრობთ, რომ ეს შეცდომაც უნებლიეთია და არა კერძო ინტერესზე აღმოცენებული, რისთვისაც რასაკვირველია უბრალო საყვედური მცირედი სასჯელი იქნებოდა.

კვალად ვაფრთხილებთ ჩვენს კორესპოდენტებს!

## „ეშმაკის მათრახის“ ფოსტა.

**თფილისი.** ბ რ დ ე მ ლ ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, ვინაიდან „ნიშადური“ არ არის ჩვენთვის გზის მაჩვენებელი. მართალია ვალერიან გუნიას ბინძური ენა სამარის კარამდე ასეთივე ბინძური დარჩება, ბევრ უმსგავსოებას წამოროშავს, მაგრამ ამაში დამერწმუნეთ არავითარი ბრალი არ მიუძღვის ყოფილ დეპუტატ ბარათაშვილს. ტყვილათ გწყენიათ ფედერალისტების ბოდვა ს. დ. დეპუტატების შესახებ, ვინაიდან იმათი ლანძღვა უტყუარი საზომია ჩვენი დეპუტატების ღირსებათა დასაფასებლათ. რამდენსაც მეტს ილანძღებიან სამშობლოისა ჩვენისა პურიშკევიჩები ბარწმუნებთ იმდენათ მეტია ხალხის წარმომადგენელთა ღირსება.

**გორი.** ც ი მ ბ ი რ ე ლ ს. თქვე დალოცვილო, პოლიციას ღორისა კი არა ადამიანის სიკვდილისთვისაც არ სთხოვენ პასუხს, მთვარეზე ხომ არა სცხოვრობთ?

**ხაშმი.** ხ ა შ...ტ ი ა ს. თქვენი გამოცანა იმდენათ გრძელია, რომ გამოცნობა მის წაკითხვათ არ ღირს. მაგისთანა ქარაფშუტა საგანზე ამხელა ლექსის დაწერაც დიდი დანაშაულია და დაბეჭდვა ხომ ზედმეტი იქნება.

X—გ ე ი ც ი ნ ე შ ვ ი ლ ს. თქვენი ლექსი უშინაარსოა როგორც ჟურნალი „ნიშადური“ და არც ავტორის ვინაობა აწერია. არ დაიბეჭდება.

**აბაშა.** ყ ო რ ა ნ ს. კოწია ცომაიას გარდაცვალება რომ მართალი იყოს, ნახევარი საქართველო შეწრიალდებოდა და რისთვის გინდათ ჩვენი გაზეთი შეცდომაში შეიყვანოთ. ეს არ გეკადრებათ. ასეთი შეუფერებელი ხუმრობით შეიძლება ჩვენს „ეშმაკს“ გული გაუსკდეს მწუხარებისაგან.

**ოზურგეთი.** გ რ ი გ ა ლ ს. ამხანაგო გრიგალო! გთხოვ ძლიერ ნუ გააიაფებთ ჩვენი მათრახის კუდს. მარტო გრძელი ულვაშის ქონება არ არის საკმარისი დანაშაული კაცისათვის და თქვენ კი მხოლოდ გრძელი ულვაშებისათვის გინდათ თქვენი სტოროჟის გამათრახება. ნურას უკაცრავათ თუ ამაზე ვერ დაგთანხმდეთ.



ამიერ კავკასიის ბაყბაყ მდევი.

## „ა მ ი რ ა ნ ი“

შავი ზღვიდან კასპიამდე
გაწოლილა ,,ამირანი''
და ვით ცხენი ნახედარი
გორავს, ფშვინავს ეგ ვერანი.
წიხლებსა ჰყრის, როგორც მოსდგამს,
გაუხედნელ ულაყ ვირებს
და ქონიკო ჯიუტობით
ვის გინდა არ გააკვირებს?!
სურს განდევნოს მუნით ყველა,
ვინც მას ნანას არ უგალობს,
და მესამე თვე სრულდება
რაც ამაზე სწუხს და წვალობს.
მაგრამ როცა ეს განზრახვა
სასურველათ მოახერხონ,
ტიმოშკინის ,,მძიმე'' თავი
ამრჩევლებმა დაიკვეხონ.

ლოურსმანი.

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პროსპ. № 65.